

Ceresit



CT 190

MW FLEX

საადჰესიო და მინაზოჭოვანი ნარევი მინერალური ბამბისთვის

მინერალური ბამბის ფილების ფიქსაციისთვის, შენობების თბოიზოლაციისას თხელი არმირებული ფენის დასატანებლად ETICS-ის მეშვეობით.

Commented [GZ1]: ეს გადაიკითხე მაინც, რამდენად გამართულია, როგორც წინადადება

მახასიათებლები

- ახასიათებს მაღალი მდგრადობა მექანიკური ზემოქმედების მიმართ
- ელასტიური
- გამლიერებული ბოჭკოების უნიკალური კომბინაციით
- მდგრადი თმის ხაზებისა და ბზარების მიმართ
- ახასიათებს მაღალი ადჰეზიურობა
- მინერალურ სუბსტრატებთან და მინერალურ ბამბასთან
- მდგრადი ამინდის პირობების მიმართ
- ორთქლის მაღალი გამტარიანობა
- წყლის შთანთქმის დაბალი დონე
- შესაძლოა მექანიკური გამოყენება



გამოყენების ფარგლები

Ceresit CT 190 ხსნარი წარმოადგენს Ceresit Ceretherm ETICS-ის (გარე თბოიზოლაციის კომპოზიტური სისტემები) ელემენტს მინერალური ბამბის და ლამელის დაფების გამოყენებით. CT 190 ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ლამელის დაფებთან ერთად ავტოფარების ჭერის იზოლაციისთვის. CT 190 ხსნარი გამოიყენება მინერალური ბამბის ფასადის დაფების დასამაგრებლად და გამაგრებითი დამცავი ფენის დასატანად ახლად აშენებულ ობიექტებზე, ასევე ძველი შენობების თერმო-რემონტისთვის. Ceresit CT 190 - ბოჭკოების სპეციალურად შერჩეული კომბინაციის (Fibre Force Technology) საფუძველზე - ამლიერებს საიზოლაციო სისტემის მედეგობას დაზიანების, ზხარების და ნაკაწრების მიმართ.

სუბსტრატის მომზადება

1. მინერალური ბამბის დაფების/ფილების დამაგრება

CT 190 ხსნარს ახასიათებს კარგი ადჰეზია კედლების, ბათქაშისა და ბეტონის ზედაპირების ადჰეზიის შემცირებელი ნივთიერებებისგან (როგორცაა ცხიმი, ბიტუმი, მტვერი) მზიდ, კომპაქტურ, მშრალ და სუფთა სუბსტრატებზე. გამოყენების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს ადჰეზიის ხარისხის არსებული ბათქაშს და საღებავებს შორის. "ღრუ" თაბაშირები უნდა მოიხსნას. ნებისმიერი გახეხილი და არათანაბარი ზედაპირი უნდა შეივსოს Ceresit CT 29 შემავსებლით ან დაფარულ იქნეს ცემენტის ბათქაშით. ზედაპირული დამაბინძურებლები და ადჰეზიურობის თვისების სხვა ხელშემშლელი ნივთიერებები, ორთქლგამტარი საღებავები და სუბსტრატზე დაბალი ადჰეზიურობის თვისების მქონე ფენები მთლიანად უნდა მოიხსნას, მაგ. გამდინარე წყლის ჭავლით. ხავსითა და წყალმცენარეებით მიკოლოგიური დაბინძურების შემთხვევაში ზედაპირი უნდა გაიწმინდოს და შემდეგ გაჯერდეს Ceresit CT 99-ის ფუნჯიციდური ხსნარით. ძველი, შეუღესავი კედლები, ძლიერი ბათქაში და ორთქლგამტარი საღებავის ფენა უნდა გაიწმინდოს, შემდეგ კი გაირეცხოს წყლის ჭავლით აგენტის დამატებით, რომელიც აცილებს Ceresit CT 98 მინარევს; ამის შემდეგ ეს ადგილი უნდა დარჩეს გარკვეული დროით, სანამ მთლიანად არ გაშრება. წყლის შთანთქმის მაღალი უნარის მქონე მქონე სუბსტრატები, მაგ. გაზო-ბეტონის ბლოკებისაგან ან სილიკატური ბლოკებისგან დამზადებული კედლები უნდა დაიგრუნტოს Ceresit CT 17-ით და დარჩეს გასაშრობად მინიმუმ 2 საათის განმავლობაში.

2. არმირებული ფენის დატანა

ფირფიტების ზედაპირი, რომლებიც დამატებით არის დამაგრებული მექანიკური სამაგრებით, კარგად უნდა გაიწმინდოს ფხვიერი ბამბა-ბოჭკოვანი ჯაგრისით.

გამოყენება

ჩაასხით CT 190 გარკვეული გაზომილი რაოდენობით გრილ სუფთა წყალში და ბურღთან ერთად ურიეთ მიქსერით მანამ, სანამ ერთგვაროვანი მასა არ მიიღება რაიმე ნაფხვენების გარეშე, დაელოდეთ დაახლ. 5 წუთი და ისევ აურიეთ.

1. მინერალური ბამბის დაფების/ფილების დამაგრება. წებოვანი ხსნარის გამოყენებამდე აუცილებელია წაუსვათ CT 190 ხსნარი. მზა ხსნარი უნდა წაუსვათ დაფის კიდეების გასწვრივ, ისე, რომ შეიქმნას 3-4 სმ სიგანის ზოლი და რამდენიმე ლაქა დიამეტრით დაახ. 8 სმ. შემდეგ დაუყოვნებლივ მიაკარით ფირფიტა/დაფა კედელს რამდენიმე მსუბუქი დარტყმით. სწორად გამოყენებული ხსნარები ზეწოლისას უნდა ფარავდნენ ზედაპირის მინიმუმ 40%-ს. მინერალური ბამბის გამოყენების შემთხვევაში ხსნარები უნდა დაიტანოთ დაკბილული ფითხით (დაკბილული: 10-12 მმ). დაფები მჭიდროდ უნდა იყოს დამაგრებული ერთმანეთის მიყოლებით ერთ ზედაპირზე ვერტიკალური შეერთების „აგურის მსგავსი წყობის“ შენარჩუნებით. CT 190-ის დატანისას (დაახლოებით 3 დღის შემდეგ), დაფები უნდა იყოს დაიხეხოს აბრაზიული ქაღალდით და დამატებით დამაგრდეს ფოლადის ბირთვით მქონე მექანიკური სამაგრებით.

2. არმირებული ფენის გამოყენება.

წებოს ბოლო ფენის წასმამდე დაფების უნდა მოხდეს ე.წ. „გრუნტირება“ CT 190-ის მეშვეობით დაახლ. 1 მმ სისქის თხელი ფენის დატანით ბამბის ზედაპირზე. ფენის გაშრობის შემდეგ, დაახლ. 24 სთ-ში იწყება არმირებული ფენის დატანა ზადით. მზა ხსნარები დაფების ზედაპირის გასწვრივ უნდა დაიტანოთ დაკბილული შპატელის მეშვეობით 10 ან 12 მმ. მონა-ბოჭკოვანი ბადე უნდა დაიტანოთ ახალ ხსნარზე (10 სმ-იანი გადახურვით) და თანაბრად გადაანაწილოთ ისე, რომ მინის ბოჭკოვანი ბადე არ ჩანდეს.

მექანიკური გამოყენების შესაძლებლობა. რეკომენდირებული ტიპის დანადგარი: მაგ. Wagner PC 15 ან SPG Baummaschinen PG 20, საქმენის ზომა \varnothing 10. ახალი ლაქები უნდა გაიწმინდოს წყლით, ხოლო დამაგრებული ელემენტები უნდა მოიხსნას მხოლოდ მექანიკურად.

გაითვალისწინეთ

არმირებული ფენა არ უნდა იქნას გამოყენებული მაღალი იზოლაციის ზედაპირებზე, ხოლო დატანილი ფენა დაცული უნდა იყოს წვიმისგან. რეკომენდებულია დამცავი ხარაჩოების გამოყენება. დატანა უნდა განხორციელდეს მშრალ პირობებში სუბსტრატისა და გარემოს ტემპერატურაზე: +5 °C-დან +25 °C-მდე. CT 190 ფხვნილის ხსნარი ავლენს მჟავა თვისებებს, ხოლო ცემენტის შემცველობა იწვევს ტუტე რეაქციას წყალთან შერევისას, ამიტომ კანი და თვალები დაცული უნდა იყოს. თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში უნდა ჩამოიბანოთ წყლით და მიმართოთ ექიმს. საექსპლუატაციო მახასიათებლები მოცემულია პროდუქტის საექსპლუატაციო შესაბამისობის დეკლარაციის ტექსტში.

ქრომის VI შემცველობა - 2 ppm-ზე ნაკლები, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე.

სხვა ინფორმაცია

რეკომენდებულია მინერალური ბამბის ფილების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ გარე კედლის საიზოლაციო სისტემების (ETICS) მოთხოვნებს EN 13162-ის მიხედვით. სხვა დეტალები, რომლებიც ეხება თბოიზოლაციას, აღწერილია ITB No. 418/2007 და 447/2009 ინსტრუქციაში.

შეფუთვა

პლასტმასის კონტეინერები - 25 კგ

ტექნიკური მონაცემები

ბაზა: ცემენტის ნარევი მინერალური შემავსებლებით და მოდიფიკატორებით

მოცულობითი სიმკვრივე: დაახლ. 1,3 კგ/დმ³

შერევის კოეფიციენტი: 6,5÷7,0 ლ წყალი 25 კგ-ზე

საექსლუატაციო ტემპერატურა: +5 °C-დან +25 °C-მდე

ვარგისიანობის ვადა: დაახლ. 1,5 საათი

შეკუმშვისადმი წინააღმდეგობა: ≥ 20 N/მმ² (CS IV) -EN 1015-11:2001+A1:2007 მიხედვით

წყლის შთანთქმის უნარი 24 საათის შემდეგ: $< 0,5$ კგ/მ² - ETAG 004-ის მიხედვით

ადჰეზია - ETAG 004-ის მიხედვით:

ბეტონზე $> 0,25$ მპა

მინერალური ბამბაზე $> 0,08$ მპა

ხანძრის კლასიფიკაცია EN 13501-1-ის მიხედვით:

A1:

Ceresit Ceretherm Wool Garage

A2-s1, d0 :

Ceresit Ceretherm Wool Classic, Ceresit Ceretherm Wool Premium ხმის შთანთქმის კოეფიციენტი სისტემაში Ceresit Ceretherm Wool Garage: $\alpha_w = 0.85$ (L)

B კლასის შთანთქმის შეფასება

ბუნებრივი გამოსხივების შეფასება: აკმაყოფილებს მინისტრთა საბჭოს 2007 წლის 2 იანვრის #234/2003 ITB ინსტრუქციის მოთხოვნებს No. 23,4/20. პ.6.2.1

სავარაუდო მოხმარება:

სამაგრი დაფები: დაახლ. 5,0 კგ/მ²

გრუნტირების ფენა: დაახლ. 1,0 კგ/მ²

არმირებული ფენა: დაახლ. 4.0 კგ/მ²

საფიოტონის ფენა: დაახლ. 1,0 კგ/მ²

ვარგისიანობის ვადა/შენახვა: 12 თვემდე დამზადების თარიღიდან, როდესაც ინახება მშრალ გრილ პირობებში და ორიგინალ დაუზიანებელ შეფუთვაში.

ამ პროდუქტს ახლავს საცნობარო დოკუმენტები:

- BBA სერტიფიკატი No14/5142
- ირლანდიის შეთანხმების სერტიფიკატი No09/0340
- ევროპული ტექნიკური შეფასება (ETA) სისტემებში:

Ceresit Ceretherm სისტემა	Wool Classic	Wool Premium
NTA	09/0026	09/0037
სერტიფიკატი	1488-CPR-0440/Z	1488-CPR-0375/Z
NDoC	00424	00430

Ceresit Ceretherm სისტემა	Wool Garage
TA	15-7956/2016+ დანართები
სერტიფიკატი	ITB-0320/Z
NDoC	00448

გარდა აქ მოცემული ინფორმაციისა, ასევე მნიშვნელოვანია დაიცვათ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სავაჭრო ასოციაციების შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები და რეგულაციები, აგრეთვე, გერმანიის სტანდარტების ინსტიტუტის (DIN) შესაბამისი სტანდარტები. ზემოაღნიშნული მახასიათებლები ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებას და გამოყენებით ტესტირებას. გარანტირებული თვისებები და შესაძლო გამოყენება, რომელიც სცილდება ამ საინფორმაციო ფურცელში მითითებულ გარანტიებს, მოითხოვს ჩვენს წერილობით დადასტურებას. ყველა მოცემული მონაცემი მიღებულ იქნა გარემოსა და მასალის +23°C ტემპერატურისა და 50% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სხვა კლიმატურ პირობებში გამკვრივება შეიძლება დაჩქარდეს ან შეფერხდეს.

აქ მოცემული ინფორმაცია, კერძოდ, რეკომენდაციები ჩვენი პროდუქციის დამუშავებისა და გამოყენების შესახებ, ეყრდნობა ჩვენს პროფესიულ გამოცდილებას. ვინაიდან მასალები და პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეული სავარაუდო გამოყენების მიხედვით და, შესაბამისად, აღნიშნული სცდება ჩვენი გავლენის სფეროს, ჩვენ დაბეჯითებით გირჩევთ, რომ თითოეულ შემთხვევაში ჩაატაროთ სათანადო ტესტები, რათა შეამოწმოს ჩვენი პროდუქტების ვარგისიანობა მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. იურიდიული პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს ამ მონაცემთა ფურცლის შინაარსის ან რაიმე სიტყვიერი რჩევის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ჩვენი მხრიდან ადგილი არ ექნება განზრახ არამართლზომიერ ქმედებას ან უხეშ დაუდევრობას. ტექნიკური მონაცემების ეს ფურცელი ანაცვლებს ამ პროდუქტთან დაკავშირებულ ყველა წინამორბედ გამოცემას.



Henkel CEE
Erdbergstrasse 29
1030 ვენა www.ceresit.com

Quality for Professionals

